

# ლიტერატურული გაფეთი

№76 8 - 21 ივნისი 2012

გამოფის ორ პირაში ერთხელ, აარასკობით

ფასი 50 თეთრი



## თბილისის წიგნის სარტყელის ფასტივალი TBILISI INTERNATIONAL BOOK FAIR

24-დან 27 მაისის ჩათვლით, დღის ნებისმიერ მონაცემში საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში სკეპტიკოსს რომ შეეხედა და ხალხის სიმრავლე ენახა, დაწმუნდებოდა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში წიგნისა და ლიტერატურის სიყვარული არ განელებულა და წიგნს ბევრი ერთგული ჰყავს.

ოთხი დღის განმავლობაში თბილისის წიგნის ფესტივალი აქტუალობას იმდენად ინარჩუნებდა, რომ საგამომცემლო სტენდებთან თუ წიგნის დახლებთან მისვლა ხალხმრავლობის გამო თითქმის შეუძლებელი იყო. შეიძლება ითქვას, გამომცემლები, ავტორები, მთარგმნელები და მკითხველი ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. ვფიქრობთ, მთავარი, რაც წლევანდელ ფესტივალს გამოარჩევდა, მკითხველის სიმრავლის გარდა, არის შემდეგი: ქართული საგამომცემლო ინდუსტრიის — არამხოლოდ მხატვრული ლიტერატურულ-პოლიგრაფიული, არამედ კომერციული თვალსაზრისითაც — მეტად დაწინაურება.

თბილისის წიგნის XIV საერთაშორისო ფესტივალი საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამაცვლელებელთა ასოციაციის ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა და იგი მინისტრის მოადგილებ, მაკოჭოლოშვილმა გახსნა.

ფესტივალი — როგორც კულტურული მოვლენა და არა მხოლოდ წიგნის ყიდვა-გაყიდვის ადგილი — თბილისელთა ცხოვრებაში სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. წელს იგი მრავალფეროვანი საფესტივალო პროგრამითა და მასშტაბურობით გამოირჩეოდა. ერთ-ერთი ყველა ზე მნიშვნელოვანი აქცია, რომელიც ფესტივალის ორგანიზატორი ასოციაციის ინიციატივითა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ფესტივალის ფარგლებში გაიმართა იყო ის, რომ საქართველოს ყველა მთავარ ბიბლიოთეკას გადაეცა 700 ლარის ლირებულების ვაუჩერი, რომლის გამოყენებაც ფესტივალის მსვლელობისას იყო შესაძლებელი. პროექტმა საქართველოს ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები ახალი გამოცემებით გაამდიდრა და ამით ერთგვარად გამოეხმაურა ქართული წიგნისა და ლიტერატურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტს — განვითარდეს საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში.

II - III



### ვანო ჩხიტვაძე

\*\*\*

მადლობა ლეკებს,  
მადლობა ლეკებს,  
მკვლელებს, შარაგზის ყაჩალებს.  
ბევრჯერ დახევდნენ,  
ბევრჯერ წაგვლეკეს,  
ბევრი დათოფეს, დახანჯლეს.

ჩემს მოსისხლეებს,  
ქურდებს, მპარავებს,  
მოვუბოდიშებ ათასჯერ,  
უკან წავიდებ, მათ საგინებლად  
რაც კი სიტყვები დავხარჯე.

მომხდურის თავზე რისხევად იელვებს  
პატარა კახის — „ჰკა წუნკლებს!“  
ლეშისმჭამელი დაედირება  
კოხტა ბელადის ნაკუნებს.

მადლობა ლეკებს,  
მადლობა ლეკებს,  
მკვლელებს, შარაგზის ყაჩალებს.  
ბევრჯერ დახევდნენ,  
ბევრჯერ წაგვლეკეს,  
ბევრი დათოფეს, დახანჯლეს.

გივირს, მადლობით რატომ ვიხსენებ  
მკვიცხლებს, ფეხმარდებს, ჩაუქებს? —  
სოფლიდან ბიჭი გაიტაცეს და...  
გურამიშვილი გვაჩუქეს.

\*\*\*

ადრე მამალი ყიოდა,  
ახლა ისიც არ ყივის.  
დილაადრიან მალვიძებს:  
— ჩაი, ლიმონი, კივი.

ქალები ქალებს მოსდევენ,  
გვინდა, გულნაზი, ლილი.  
შორს დარჩენილა ოჯახი,  
დედაბოძგამოცლილი.

დაძრულა დიდი, პატარა:  
— ლიმონი, კივი, ჩაი...  
რას მეტყვი,  
რით გამახარებ,  
საით, ქვეყანავ, საით?

IV - V

იმისათვის, რომ სტუმრებს მე-11 პავილიონის „ლაბირინთებში“ ორიენტირება გაადგილებოდათ, ფესტივალის ორგანიზატორებმა საგამოფენო სკორცე სხვადასხვა ფერის ზონებად „გაჟყვეს“. საბავშვო ლიტერატურა ძირითადად ყვითელ ზონაში იყო თავმოყრილი — იქ, სადაც საბავშვო გამოცემებზე ორიენტირებული გამომცემლობები იყვნენ წარმოდგენილი; უცხოენოვან ლიტერატურასა და თარგმანებს წარინჯისფერ ზონაში მოიძიებდით — გოეთეს ინსტიტუტის, ევროკავშირის წარმომადგენლობის, ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყიფილებისა და გაეროს წარმომადგენლობის სტენდებთან; ასევე იყო ისფერი, თეთრი, ვარდისფერი, ცისფერი ზონები, სადაც ცნობილი მსხვილი გამომცემება საკუთარ პროდუქციას სთავაზობდნენ მყიდველ ტორო სტენდები „ბაკურ სულაკაურის გამომცემლიდა ქარჩხაძის გამომცემლობას“ ეკუთვნოდა, „მენეჯმენტ სერვისი“ და „ლიტ.გვ.“ თეთრი კუნძულ მოჩანდა წიგნების ოკეანეში.



ბუღაძეს მოთხრობისთვის „კორექტურა“ და ეკატერინე ტოგონიძეს მოთხრობისთვის „სსვა გზა“. ამავე პროექტის ფარგლებში წელს პირველად, ავტორებს, რომელთა მოთხრობებიც შევიდა კრებულში, საშუალება მიეცათ თავად და ესახელებინათ წლის მოთხრობა. მწერლების უმეტესობამ ლაშა ბუღაძის „კორექტურა“ გამოარჩია. პროექტში არაერთი კერძო კომპანია იღებდა მონაწილეობას. დაჯილდოვების ცერემონიალზე კომპანიების წარმომადგენლებმა თავიანთი რჩეულები დასასრულერეს.

**ზაალ სამადაშვილი, მწერალი, თბილისის საკურპულოს თავმჯდომარე:** „პირველ რიგში, თბილისის წიგნის ფესტივალი მკითხველის ზეიმია. მეც, მინდა გითხრათ, აქ უპირველესად როგორც მკითხველი, მოვდივარ, ახალ გამოცემებს ვათვალიერებ, ვეცნობი, სასურველ წიგნებს ვიძენ. ხომ ხედავთ რამდენი მკითხველია? მინდა დავასრულო მოწოდებით: ძვირფასო თბილისელებო, დიდებო და პატარებო — განსაკუთრებით უფროსებს მიემართავ — მოყიდეთ ხელი შვილებს, შვილიშვილებს, მობრძანდით მე-11 პავილიონში და ოთხი დღის განმავლობაში ისიამოვნეთ არაჩვეულებრივი ზეიმით, რომელსაც წიგნის ფესტივალი ჰქვია.



**თამარ ლეპანიძე** — გამომცემლობა „დიოგენეს“ და მფუძნებელი და დირექტორი: სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენთვის წიგნის ფესტივალი იგივეა, რაც ახალი წელი, შობა და აღდგომა ერთად. იმიტომ რომ, თუკი შენი საქმე გიყვარს და საგამომცემლო სფეროსთან ხარ იდენტიფიცირებული, ამ მოვლენას განსაკუთრებულად ელოდები და წლიდან წლამდე ემზადები მისთვის. ფესტივალი მკითხველებთან შეხვედრის საუკეთესო ადგილია. ამ დროს გამომცემელს სამუალება აქვს მეტი შეიტყოს მკითხველის ლიტერატურული პრიორიტეტების, სურვილებისა თუ გემოგნების შესახებ. ამგვარ ინფორმაციას ას, ყოველთვის ისტორიას იარ მიიღობს.

ყველანირად ვეცადეთ, ნლევანდელ ფესტივალზე  
რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე გვქონდა. გან-  
საკუთრებით გამოყოფდი სერიას — „დიოგენეს ბიბ-  
ლიოთეკა“, რომელიც ბევრ კარგ ავტორსა და იმ ცნო-  
ბილი მხატვრული ტექსტების უმეტეს ნაწილს აერთიანებს,  
რომელიც ჩვენს მიერაა სხვადასხვა დროს გამოცემული.  
ამ დროისთვის „დიოგენეს ბიბლიოთეკაში“ შეიძიო ავტო-  
რია ნარმოდგენილი.

წიგნებზე და რა თქმა უნდა, გაყიდვების დიდი წილიც სწორედ ამ დღებზე მოდის. ჩვენი გამომცემლობა ტრადიციულად აგრძელებს „რამდენიმე ძირითად ხაზს. პირველ რიგში, ესა საბავშვო შემცნებითი ლიტერატურის ხაზი და მისი ერთ-ერთი ყველაზე მყარი მიმართულება — ოქსფორდის წიგნები. ძალიან სერიოზული გამოცემაა და ამაყად წარმოვადგენთ „ოქსფორდის დიდ საბავშვო ენციკლოპედიას“ — დაახლოებით შეიძასგვერდიან გამოცემას ყოვლისმომცველი ინფორმაციითა და ფერადი ილუსტრაციებით, რომელიც შარშან, წლის ბოლოს გამოვცით, ფაქტიურად ახალი წიგნია და პირველად გამოდის ფესტივალზე. ორი წელი შევალიერ მასზე მუშაობს. ახალთახალი გამოცემა „ჩემი პირველი ოქსფორდის ენციკლოპედია“ ყველაზე პატარებისათვის. წიგნი „გასაგებ ენზე“ დაწერილი და უხვადას ილუსტრირებული გრძელდება ჩვენი ახალი წამოწყება — ხელვენება და კულტურული მემკვიდრეობა. პროექტის განხორციელება ერთი წლის წინ დავიწყეთ. ამჟამად ფესტივალზე წარმოდგენილი გვაქვს ქართული მხატვრობის მესუთე ტომი, რომელიც ირაკლი ფარჯიანის შემოქმედებას ეძლება. წიგნის პრეზენტაცია სამი დღის წინ გაიმართა და მის მიმართ ინტერესი ძალზე დიდია. ასევე აღსანიშნავია სიახლე საბავშვო პროგნოს მიმართულებით: ორი დღის წინ გამოვიდა წატო დავითაშვილის მორიგი „ფენტეზი“ — „ოთხი მხარე და ოთხი სევტი“. წიგნის პრეზენტაცია ფესტივალის ფარგლებშია დაგეგმილი, მას ბევრი ელოდება. ამ ავტორის წიგნებს ინტენსურად გამოვცემთ, ის მაღალი რანგის „ფენტეზის“ ქმნი.

**მამუკა ხერხეულიძე — მწერალი, პუბლიცისტი:** მიმართა, საქართველოში და, კერძოდ, თბილისში დღესასწაულებს მორის მთავარი სწორედ წიგნის ფესტივალია. არა მარტო მე ვთვლი ასე, არამედ ის ადამიანებიც, რომელთაც ყოველწლიურად ვხვდები ხოლმე აქ. მახსოვს ფესტივალის პირველი წლები. მაშინ გამომცემლობებიცა და წიგნებიც ძალიან მწირად იყო წარმოდგენილი. ახლა კი სულ სხვა სურათია — წიგნის მთელი ქალაქია გაშენებული, გამომცემლობებს უამრავი კარგი გამოცემა და საინტერესო სერიები აქვთ წარმოდგენილი. ხედავთ რა რაოდენობით წიგნის გარშემო, რამდენი სტუმარი ჰყავს ფესტივალს? რომ არა მეტითველის მოთხოვნა, არც საგამომცემლო საქმე განვითარდებოდა საქართველოში და არც ასეთი მაღალი ხარისხის წიგნები შეიქმნაოდა. ასე რომ, წიგნს ინტერნეტგამოცემები ჩაანაცვლებსო, ცრუგანგშია. წიგნი არის შეუცვლელი რამ. ყველას უკულოცავ ამ დღესასწაულს.



**კახეგ კუდავა — გამომცემლობა „ინტელექტის“ დამფუძნებელი და დირექტორი:** საუბარი მინდა დავიწყო ბესიკ ხარისაულის რვასასგვერდიანი კრებულის შესახებ, რომლის პრეზენტაციაც ფესტივალის ფარგლებში იმართება. პროექტი კულტურისა და ქებლთა დაცვის სამინისტრომ და გამომცემლობა „ინტელექტის“ ერთობლივად, თანადაფინანსებით განვახორციელეთ. ასეთი მოცულობის გამოცემის დამოუკიდებლად მომზადება, დამეთანებებით, რთული იქნებოდა. წიგნში ბესიკ ხარისაულის ორმოცდათანი პრეზენტი მემკვიდრეობა — 1954-2005 წლებში დაწერილი ნაწარმოებები გაერთიანდა. ვფიქრობ, ამ კრებულის გამოსვლა მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენი გამომცემლობისთვის, არამედ ლიტერატურული მოვლენა ნიგნის ფესტივალისთვისაც. სიახლე კიდევ ის გახლავთ, რომ დავიწყეთ ახალის სერიის — „ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანის“ გამოცემა. უკვე გამოსულია შექსპირის, გოეთეს, ვიონის, კიოლინგის, უიტმენის, ცვეტავეას, პასტერნაკის ლექსების ქართული თარგმანები. პროექტის ავტორი ზვიად კვარაცხელია. ვფიქრობ, საინტერესო სერია. მაგალითად, გოეთეს ცნობილი ლექსის „მეზავრის ღამეული სიმღერა“ 70 ქართული თარგმანი არსებობს, მკითხველი სამოცდაათივე ცენობისა და შესაძლებლობა აქვს ერთმანეთს შეადაროს თარგმანები. ვაგრძელებთ წიგნებიანტების ბეჭდვას. ამ სერიაში მეითხველს გთავაზობობთ ნადინე გორდიმერის, ჩესლავ



მილოშის, ჰერტა მიულერის ნაწარმოებთა პირველ ქართულ თარგმანებს.

**ქეთევან კილურაძე — გამომცემლობა „სიესტას“ დამფუძნებელი და დირექტორი:** ფესტივალი ძალიან მწიშვნელოვანი მოვლენაა გამომცემლობისთვის და ვფიქრობ, მეთხველისთვისც. წელს, უამრავი ადამიანის სტუმრობს ფესტივალს, რომლის მასშტაბიც შარშანდელზე გაცილებით დიდია და პატიოლინის „გარეთ“ გამართულ არაერთ მწიშვნელოვან ლიტერატურულ ღონისძიებაში აისახება. ფესტივალს განსაკუთრებულ მწიშვნელობა შეისინა ლიტერატურულმა ფორუმ-დიალოგმა, რომელსაც ცნობილი უცხოელი გამომცემლები ესწრებოდნენ. მათთან ძალზე საინტერესო შეხვედრები გაიმართა, საქმიანი კავშირები გაიძა. „სიესტასგან“ ორი საავტორო უფლება შეიძინეს. ერთი — პოლონელმა გამომცემელმა, რომელიც ზურაბ ქარუმიძისის ინგლისურენოვან რომანს — „დავნი ანუ სიყარულის ნადიმი“ გამოსცემს. ხოლო, ერლომ ახვლედიანის წიგნები აქვთ წარმოდგენილი და ასეთი მაღალი ხარისხის წიგნები არ არის არჩევნი აქვს მეითხველს, ეს ჩვენი გამომცემლების მხრიდან გმირობის ტოლფასია და ვიტყოდი, მათი დამსახურება ქართული კულტურის წინძე განაზომელია.

**ნეტო დავითაშვილი — მწერალი:** თავიდან, წიგნის ფესტივალზე როგორც გამომცემელი გმოსანილობიდი, შემდეგ — როგორც მეითხველი. ახლა კი, მონაბილების ვიღებ, როგორც ავტორი. ეს განსაკუთრებულ კადენციანი ჩემთვის, რადგან უახლოეს ადამიანებს — ჩემს მეითხველს ვხვდები და ჩემს ლიტერატურულ გმირებს ვაპარებ მათ.

მახსოვს წიგნის პირველი ბაზრობა, ცამეტი წლის წინ რომ ჩატარდა. სულ ოთხი საგამომცემლო სტენდი იყო წარმოდგენილი. როგორც გამომცემელებს სამინიდ წიგნი მეონდა გამოცემელი არჩევნის შემთვევაში არ უნახავს, გაუჭირდება, დაინახოს რამელა ნაბიჯებია გადადგმული საგამომცემლო სფეროში. წლევანდელი ფესტივალიც იმის დასტურია, რომ ქართული წიგნი სულ უფრო ვითარდება, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის.



**ბესიკ ხარისაული — პოეტი:** ფესტივალის ფარგლებში იმართება ჩემი კრებულის პრეზენტაცია. წიგნი ერთობლივად გამოსცემს „ინტელექტმა“ და კულტურის სამინისტრომ. საქართველოს მეითხველი ბაზრობა, არ უნახავს, გაუჭირდება, დაინახოს რამელა ნაბიჯებია გადადგმული საგამომცემლო სფეროში. წლევანდელი ფესტივალიც იმის დასტურია, რომ ქართული წიგნი სულ უფრო ვითარდება, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის.

წიგნის ფესტივალის ერთგვარი სტენდი და ასეთი მოვლენა არ არის არჩევნი არა უნახავს, გაუჭირდება, დაინახოს რამელა ნაბიჯებია გადადგმული საგამომცემლო სფეროში. წლევანდელი ფესტივალიც იმის დასტურია, რომ ქართული წიგნი სულ უფრო ვითარდება, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის.

წიგნის ფესტივალიც იმის დასტურია, რომ არ არის არჩევნი არა უნახავს, გაუჭირდება, დაინახოს რამელა ნაბიჯებია გადადგმული საგამომცემლო სფეროში. წლევანდელი ფესტივალიც იმის დასტურია, რომ ქართული წიგნი სულ უფრო ვითარდება, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის.

თავარ უზრუნველი



## ვანო ჩხიკვაძე

\*\*\*

ის თოვლი, იმ თოვლის გრძნეული ფიფქები ხსოვნაში მოდიან, ჩემ სულში დნებიან.  
ჩავლილი დღეები ცხვირსახოც მიქნევენ,  
ყმუსის დავინწყება,  
მომდევენ — მგლებია.

აქეთაც — იქითაც,  
ცბიერი, კეთილი,  
მეძახის. სანყალი წლებს დაუკორტნია.  
აჩრდილი ნარსულის მთვარეს კვლავ შესტირის  
უილბლო, მშერი, ბებერი ტოტია.

ვაი, აბნელებენ უკვე თვალსაწირს,  
თანდათან დავკარგეთ ნიჭი გაოცების.  
მოდი და ფიფქების ფარდა გადასწიო,  
ნარსულს შეაყარე შენი ნოჭები.

ის თოვლი...  
დარდებმა იცის გარინდება,  
შემინდე, სული რომ აგიფორიაქე...  
თოფის ხმა.  
ყვავების გუნდი აფრინდება,  
აედევნებიან დღეებს მგლოვიარეს...

\*\*\*  
თვალებბრიალა, ჭრელი პანთერა —  
დადის აპრილი კომშის რტოებზე.  
ნისლი.  
მოწყენა.  
ჯვარი დამწერა  
დამლელმა სევდამ სიმარტოვეზე.

ქვაფენილებზე, ნალის წერიალით,  
გარბიან წეიმის ბედაურები,  
არავინ არ ჩანს.  
ღია სარმლიდან,  
გამელელ ღრუბლებსალა ვესაუბრები.

**ლოზუნები — „დიოგენე“**  
მე ვეძებ იმედს, რომელიც ჩემმა სამშობლომ დაკარგა,  
პოეტის ამონაკენესი — „გულს მიკლავს უიმედობა“.  
იმ კაცს, რომელსაც ვენდობი,  
იმ კაცს, რომელიც მენდობა.  
ვისაც სხვაგვარად არ ძალუს, უნდა ვეძებო კარდაკარ!

ცარგვალზე გადმოატარებს ბერი ლუხუმი სანათას,  
ზეციურ საქართველოდან ეგებ დააფრთხოს სალათა.

ვეძებ. იმ კაცის ძენაში წუთისოფელი გავლიე,  
შენ უკეთ მოგეხსენება, დავითია თუ საჩინო.  
ვიდრე ნატვრაში ქვეყანაშ საბრალო სული დალია,  
ბოლოს და ბოლოს ის მხსნელი ხომ უნდა გამოაჩინო!

\*\*\*  
მოგონებები, მოგონებები,  
სანამებელის ნელი ცეცხლია,  
ფეხისგულებზე შემონთებული,  
სხეულში რომ შემოვარდება,

თითქოს ათასი მშიერ-მწყურვალი,  
გაავებული მონადირე ძაღლი აუშვეს...

მოგონებები, მოგონებები —  
არ იცი, განა,  
ყელში ამოჩრილ,  
შენს კურდელივით დამფრთხალ — საცოდავ  
გულს რომ მოსდევენ?

\*\*\*

მოასვენე  
ის სიზმრები, ის ღამეები,  
ის სიყვარული გულგრილობის სუსხმა რომ დაფშვნა.

მოასვენე ის ქალები,  
თავს თავს რომ ძარცვავდნენ და  
ნაქურდალი შენთან მოჰქონდათ...

ერთხელ მაინც რატომ არ იფიქრე იმათ მომავალზე,  
ვინც უკვე ჩამოჭენენ,  
ვინც გადაწყვეტილ, როგორც ბრდლვიალა ნათურები და  
ყველასგან შეუმრჩევლები,  
ახლა უკვე,  
თავისთავში ჩაბუდებულ სიბნელეში ცხოვრობენ...

მოასვენე სინანულის ცრემლებიც,  
დანისპირივით რომ გისერავს ხოლმე ქუთუთოს —  
რაღაც ხომ მაინც უნდა შემოგრჩეს,  
რაც ნარსულად არ გადაიქცევა,  
რაც სულ იძრწყინებს,  
ნამნამებზე დაკიდული,  
მარგალიტის ქინძისთავით.

## მარტი

ხომ თავიდან გაძალლდა,  
აირია ამინდი,  
მოსაცვლელი კბილივით  
მოჩანს თოვლებეშ კრამიტი.

მაინც მიგრძნობს ეს გული,  
სუსხით გადაბუბული,  
სადაც არის, ტევრიდან  
დაიძახებს გუგული.

\*\*\*

ხრიოკ ველზე ჩამომსხდარან  
ფერით გადაღლილები,  
მობუზული ბედურები —  
ლტოლვილების ბანები.

ვიდრე ისევ აუქშევენ,  
ღრმა ძილშიაც კუთავენ,  
წვეთავს ცრემლის ყელსაბამი  
კეხვამდე და ქურთამდე.

დაგრჩა ყველა ნასოფლარი,  
გადამწვარი, უილბლო,  
მარტობით მოწყენილო,  
ბებერი მგლის ყმუილო.

იფიფქება ზამთრის ველი,  
ხნულით შემონაკერი,  
დამსკდარ კედლებს ეგლისება  
მყეფარივით ნამქერი.

ვაი, როგორ შეგატოვეს  
ტირიფონის ქარაშოტს —  
თქვენი ბედით, ბედურებო,  
ვილაც ისევ თამაშობს.

## თგილისო!

სევდა, რომელიც გათოვს და განვიმს,  
ძარღვებს გადაჭრის და გულს გახეთქავს —  
„ყვავილის მინა!“ —  
წყნეთელი კაცის  
ძახილი აღარ მოსდევს სახედარს.

გეძებეთ, ჩემთან ერთად ნარბენი  
ვინრო ქუჩებიც დადგნენ ყირაზე.  
მოვითქვი სული —  
ძლივს მოგაგენი,  
მაგრამ კარები რად ჩამირაზე.

აბა, სად არის უბნის მეარღნე,  
ალბათ, საფლავში დასლოკინა.  
აღარც მაგდანა,  
აღარც მეღანო,  
აღარ მოჰყვება ბებერ ჩოკინას.

შენს შემდეგ სული ველარ გავითბე,  
სიზმრად გხედავ და ცხადში მიქრები,  
მთამინდის ყელზე აფრიალებულ  
ჩამოთოვილი ქვაფენილებით.

დაცარიელდა შენი ჩიჩახვი,  
შენი მარცვალი სხვებმა აკენკეს,  
რად გამიხსენე,  
რად დამიძახე,  
გული ჩამწყვიტე და ამაყეფე.

ისე ჩაგივლი, არ მომეფერო,  
არ შემახედო გადაჭრილ ფესვებს.  
მე ვარ ქოფაკი, უკვე ბებერი,  
გავრბივარ შენგან და სიკვდილს ვეძებ.

## ვაიგრანტი


მივემგზავრები პარიზს,  
ან სულაც ქვეყნის დასალიერს.  
ჩქარა, ნისტალგიის შხამი  
გზაში დამანიე, სალიერ!

ჩქარა, სიძულვილი მწამლავს,  
მომდევს ზიზღითა და გამეტებით.  
ნავალ, ორთქლმავალის კვამლად  
მენამულ ღრუბლებს ჩავეხვევი.

მაჯაზე აჩქარდა პულსი,  
მეც ერთხელ გადავირევი და...  
მწუხრის საგალობელს ვუსმენ  
ჩემი მარტობის დილეგიდან.

მივემგზავრები, მივალ,  
მიმყვება ლოცვა და ანათემა.  
და ჩემს მიღლოდინში წვიმა  
ცისარტყელას ყულფში თავთავდება.





მივემგზავრები პარიზს,  
ან სულაც ქვეყნის დასალიერს.  
ჩქარა, ნოსტალგიის შხამი  
გზაში დამაწი, სალიერ!

მივემგზავრები, მალე,  
ლამის ხერხემალზე ამოსული,  
მიმდება სამი დღის მთვარე —  
მუნჯი, კუზიანი მარტოსული.

სადლაც, დაკარგულში ხრჩოლავს  
თეთრი, მომლოდინე კამელია.  
ნატვრა არ ამიხდა — ბოლოს  
სული შენს კალთაზე დამელია.

შენი მოფერება მეგრძნო,  
სისხლის ამღერება საფეთქელთან,  
შენი უკვდავების ფესვი,  
შენი გაზაფხულის დაფეთება...

ღამეში ლაპლაპებს ობლად  
დაძრული ვაგონის სახელური.

რა მრჩება? —  
ღორჯების გობი  
ფურთხსა და ნაგავში გახვეული.

ქვეყანა — დალატის ბზარით  
მოლინოშებული ცხრაკლიტული.  
სამშობლო — ცოცხალი მკვდარი,  
სიკვდილშიც ლაღი და არტისტული.

სადლაც, დაკარგულში ხრჩოლავს,  
თეთრი, მომლოდინე კამელია.  
ნატვრა არ ამიხდა — ბოლოს  
სული შენს კალთაზე დამელია.

და მაიც სიზმრებით აქ ვარ,  
ძალივით დაბმული სახატესთან,  
ვიდრე მახრჩებლა ჯავრის  
მდუღარე სასულეს გადაკეტავს.

## შემოდგომა

მაშინაც ჩემს სარკმელთან იწყებოდა —  
მშვიდი და ჭყეტელა,  
გამოცდილი და მრავლის მახასველი,  
მოცემავე გოგოს მკლავებით —  
სეებზე დაშვებული ლიანებით,  
ლაყუჩებით გაბმულ ლოქოს  
თავისკენ მიითრევდა...  
მე კი ვტიროდი,  
დღევანდელი დღის მოლოდინით დამწუხრებული...

და ჰა, მოვიდა ეს დღეც —  
აანთო ასაკმა წითელი —  
ხელებში გადამსკარი მაცდური ბრონეულის  
სიხარულის წვენი უშეზე ჩამომენუნა...

აბა, რა შემცვლიდა —  
ფეთხუმი ვიყავი და ფეთხუმად დავრჩი,  
და თუმცა ვიცი,  
საქანელა უკან ალარ გადაქანდება,  
მაიც ეს ნაზი და შემნიფებული დედაკაცი,  
მყუდრო ბუდუარში რომ მელოდება,  
ძველი გატაცებით მიყვარს...

შემოდგომა —  
მშვიდი და ჭყეტელა,  
მაშინაც ჩემს სარკმელთან იწყებოდა...

## გიო ლაცაბიძე

### უკუჩვევება

ყოველდღე, უფრო სწორად, როცა შენ გინდა,  
მოვდივარ შენს ქუჩაზე გაყინული სახით...  
გიყურებ, როგორ ჩამორბიხარ (თხლად ჩაცმული),  
როგორ მკოცნი და ამბობ:  
გიო... (და ეს არის ყველაზე ბუნებრივად  
ნარმოთქმული ჩემი სახელი).

ჩენ ყოველი შეხვედრისას თავიდან ვერცევით ერთმანეთს.  
ვერაფერს იტყვი, მშვენიერი ზამთარი გვიდგას  
და შეიძლება არც გავცივდეთ გულადმა წოლით  
ძეველ სტადიონის ხმელ ბალაზზე... სისულელეა,  
რომ ამაშია რომანტიკა, რომ ჩენი წილი  
ლმერთია ცაში... ( სასულები — ნოტიო სული).

ხელი ყვავილივით ვარ, თიხის ქოთანში რომ დევს, ჩემი  
შელანძლული თახის ნაკლებად გამოსაჩენ ადგილას...  
შე უზდები — ნაცრისვერ ამინდება.

აღარაფერი აღარ ხდება ჩემს ირგვლივ თითქმის,  
რომ ფიქრად ღირდეს, შესაქცევად თავის, ან სხვათ  
სალაპარაკოდ, საქილიკოდ, გაშვერად თითის,  
რომ კედლებივით უტყვი გავხდი ისეთი სადა...  
ჩემი თავის გამიკირდა და დიდი-დიდი,  
გამათბობელთან ნავიკითხო რაიმე საგა.  
სხვა ყველაფერი „იგივე“ ზამთრის დღეებში.  
შენს თმაშია სიმშვიდე, რომელიც მინდა ვეძებო თითებით.

შენ შეგიძლია გადმოხვიდე ჩემში, მარიამ,  
როგორც ფინჯანში გადმოსული უბრალო ჩაი,  
როცა ქუჩაში უსაშველოდ ცივი ქარია  
და ხეებია — მარტოობა და ჩემი მსგავსი...  
მე შემიძლა, რომ გასმინო ძალიან ჩუმად,  
თუ როგორ ყვები მეათასედ უაზრო ამბავს.

ჩენ ყოველი შეხვედრისას თავიდან ვერცევით  
ერთმანეთს...

### ეს

რა გაგაჩერებს სახელში,  
როცა ბავშვურად მოთოვს,  
როცა ჩამოყრის ხიდან ჩიტი ქათქათა ქულებს.  
შენი ცხოვრება, მთელი უთაებოლობით ისე,  
ისე ჩაგივლის, როგორც ერთი უბრალო ქალი,  
რომელსაც არც კი იცნობ,  
მიდის და უკან მისდევ.  
სხვანაირია ზოგჯერ გზებიც და რაღაც არის  
ამოუცნობი მასში, როცა შენს ბილიკს ეძებ.  
გამოჭკნი ისე, როგორც ზამთრის ხეებზე ვაშლი.  
უშდა უშველო შენს თავს  
რამენაირად, ეგებ...  
მანამდე, სანამ ქარი მინდორზე პეპლებს გაშლის.

აღებ ფანჯრებს და სამჯერ იარაღს მიჯრით ისვრი.  
აღებ და...  
ეგებ რამეს რომ შეიქციო თავი,  
ისეთს:  
უბრალოს, ნათელს, წმინდას, სადას და ულევა...

რა გაგაჩერებს სახელში, როცა ბავშვურად მოთოვს.  
როცა ჩამოყრის ხიდან ჩიტი ქათქათა ქულებს.

## როგორც

1. მე, როგორც ერთი პირმდიმარი, მშველელი ბიჭი,  
მამასთან ერთად მიწას ებარავ, ვამაგრებ სარება.  
მოცლილობისას ბურთს ვთამაშობ, ოფლად ბეჭებს  
ქარს ვუშვერ და თუ ღრუბელს ვერდავ ჩვენს საწვიმარზე,  
მივდივარ, სახლში ფრთხილად შემყავს თეთრი ბაჭის.

საღამხანს კი დედა მიხმობს: — იაკობ, შვილო,  
სანთელს მანვდის და ვიმეორებთ: „ღმერთო, გვიშველე“.

2. მე როგორც ერთი გარდასული... მოხუცი დედა  
გამოეკიდა გზას სახლიდან სასაფლაომდე.  
ტბა გამოვდექი, გუბემდე რომ უეცრად დადის,  
მიტოვებული უარაფრო, უხმო სოფელი.  
ყოველ დამით კი ქარში ვდგავარ ძველი შინელით,  
მშვიდობა, ღმერთო! აგვარიდე ომი. გვიშველე!

3. მე როგორც ერთი მოტეხილი უფლის მსახური,  
თეთრნევრა მწყემსი ჩემი მრევლის. ნეტარ არიან  
უფალო შვილი კეთორვანი და უსახური,  
შემოგვეშველე ამ ავდარში, თქეშში, ქარიან  
ამინდში, ღმერთო, შენი კალთა წამოგვახურე.

დიდება შენდა, აგვარიდე, ღმერთო, შიმშილი,  
დიდება შენდა, მოგვიხილე, ღმერთო, გვიშველე.

4. მე, როგორც, ერთი ზნეკეთილი მწყემსი ღრუბლების,  
მწყემსი ველების, მწყემსი ცხვრების, თანაც რა მარტო  
შემორჩენილი ამ მაღალ მთას, უხმო, უთქმელი,  
ბალახს ვაგროვებ, ვერმადები ამ დროს სავდროდ,  
მზისგულზე ჩემი ნაგაზი კი მშვიდად ამონარებს

და ჩვენები იცის თბილი წვიმა — როგორც მირონი  
სურნელოვანი, სახეზე რომ მშვიდად გედება.  
შავი ღრუბლები დასავლეთით მირონინებენ.  
მე ვამბობ, წვიმა გადაიღებს, ამის შედეგად  
დარჩება ნარი, დანინხნებული მწვანე კონიო.

მევსება გული სეველი მიწით, მთების ნაშალით.  
ნუ დამიყენებ სამგლე ამინდს, ღმერთო, მიშველე!

5. მე ვარ ავდარი, მე ვარ წვიმა. მე ვარ ცრემლები,  
მე ვარ მშვიდობა, მე ვარ ომი. ყველა ქმილება.  
მე ვარ ბრძენიც და მე ვარ ხშირად ცრუთა ამალაც,  
სინანული ვარ და გამთარი თქვენი გულები.


მე, როგორც ღმერთი....

### გზა

ამ ხიდის იქით აპრილია და ჩამოწყდომა  
შენს მაღალ ყელზე ყვავილების, მწვანე ფოთლების.  
ქვირითობისას როგორც თევზი ტალღებს ანუდება,  
ისე ვარ, ვერ ვძლებ, ვერ ვჩერდები და ფეხით ვთელავ  
შენს მონატრებას, შენს ბალახებს და დღიდან-დღემდე  
და თვიდან-თვემდე უშენობას ვაწერ და ვნიშნავ.  
მწვანე ჭალა, ხედლი ცაცხლი, ამ ხიდან შემდეგ  
შენი გზებია, უკასვლები და სავსე ნიშა.

და როგორც ქარი, მიტოვებულ სახლის კედლებში  
უმისამართოდ, უილაჯოდ, საკუთარ ჩრდილქვეშ  
ვწევარ და დღეებს მიზნობრივად ვატან კოდეინს.  
როგორმე ჩემთან, როგორმე ჩემთან, როგორმე იქნებ

მოხვიდე, როგორც უბრალო და სამარიტელი  
ქალივით მშვიდი, სუფთა ჭიდან შემასვა წყალი.  
ჩემს ფანჯრებიდან გაძარცვული მოჩანს სამი რტო.....  
მოდიხარ ჩემთან და მაფარებ ხელებს წყლულებზე.







## მარიამ წიკლაური



## სახელი

\*

ჯერ დაგარქმევენ.  
ეს პირველია, სიხარულით რომ იმეტებენ  
დაბადებამდე.  
არც ფერი იციან, არც წონა,  
მაგრამ გარგებრ.  
არავინ გეკითხავს, ხათრისთვის მაინც.  
რადგან თუ გეკითხეს,  
შეიძლება, უსახელოდ დაირჩინ  
უბადებელი შენივე თავი.

\*

სახელი, დიდიხნის ნაფიქრიც კი,  
დარქმევსთანავე ბეზრდება ყურს და  
თავისთვის ცხოვრობს, როგორც წესი,  
ახირებული მარტოსულივით.  
დაბადებიდან სიკვდილამდე  
უსაქმიდაც დაეხეტება.  
დედამინის დიდ მაქოზე გადახვეული  
ძაფია, თითქოს,  
და აბარია, პაპისპაპების სახელების ნაკუნები  
ერთმანეთზე გადააკეროს  
საგვარეულო ქვილთისათვის,  
სამშობლოდ რომ უნდა აქციოს  
ერთმა სახელმა...

\*

სახელი უსახელობაა.  
ჯერ დაგარქმევენ,  
მერე იმწამსვე სულ სხვა სახელს მოძებნიან,  
რომ დარქმეული არ დაგიძახონ,  
რომ არასდროს გაიმეორონ ის, რაც დაგარქვეს  
და იწყება უსახელობა.  
უსახელობა, სახელოვანი!  
სახლეულმა ზუსტად იცის, რა დაგიძახოს,  
რომ აგაცილოს პირველსახელის საშიშროება.

\*

სახელი პალია.  
შეიძლება ზედ დაეხვე და სულიც გაგვრეს.  
რადგან არვინ აღმოჩნდება შენს ირგვლივ,  
რომ მოგხსნას ამ სახელიდნ,  
ან თოკი ჭიპლარივით გადაჭრას და  
უსახელობის თავისუფლებაში გაგიშვას  
ხელახლი დაბადებისთვის.

\*

სახელი სახლიცაა.  
შეხვალ, შეიკეტავ კარს და ისე შეიძლება მოკვდე,  
არვინ მოგიკაუნოს კარზე  
ორსული ცოლისათვის  
ღამისგასათვევის სათხოვნელად.  
შენ კი გაცვითო სახლი შენივე სახელით  
და გარშემო ჭინჭარიც ისე მოედოს,  
ნასახლარი ეგონთ.  
ყვავიც კი აღარ ჩამოგიჯდეს  
ეზოსპირას, ალვისხევზე  
შენი სახელის დასაჩხავლებლად.  
ბელურასაც დაეკარგება იმედი,  
რომ შენი სახელის ნამცუცებით ზამთარს გაიტანს.

\*

სახელი სახეცაა.  
კი გაქვს, მაგრამ არვის ეცნობა,  
რომ სალამი მოგაგებოს, მოგიკითხოს.  
ან შეებრალო, რადგან ეჩვენოს,  
რომ ოდესლაც ლამაზი იყო ეს სახე,  
შეამჩნიოს კიდეც, თვალები,  
თოლიებივითი ცაში რომ ფრენდნენ,  
ისე დახრილონ, უპერი დაუშვიათ უძლურ ფრთებივით,  
ჰორიზონტების იქით ველარ...  
მხოლოდ თავის წილ საფლავის მიწასას უყურებენ.  
ასეთ სახელს გვერდს უჩუმრად აუვლიან,  
ჯიბეებში ხურდასაც არ მოიჩრენება,  
ამ სახელისგან საკუთარი შიშის გამოსასყიდად,  
ნყალობას ვინდა დაეძებს.

\*

სახელი ხსოვნაცაა  
დიდ წინაპართა, რომლებსაც სახელს მერე არქმევენ,  
სიკვდილის მერე,  
თორემ მათაც ისე ეკარგებათ  
დაბადებისას დარქმეული სახელები,  
როგორც აზრი ადამინურ ცხოვრებას.  
სახელები ხომ წმინდანობისთვის გაიწირა,  
გმირობისათვის...  
აღარც კი აქვთ უფლება, ერქვათ  
სახელი სახელისათვის.  
მათი სახელები იქცნენ სხივებად,  
გზას რომ გვინათობენ.  
გასაჭირში დაბმარებაც შეუძლიათ:  
როცა ლვითსკარზე უამრავი საქალალდე დევს  
და სამუშაოც იმდენია,  
კანცელარია გეგონება იქაურობა.

\*

სახელი სახმილიცაა,  
სასხირიანობის და უსახსრობის.  
შენსავე მოსახელეს ფული სთხოვე,  
შეიძლება, საკვამურიდან ჩამოგიგდოს.  
რადგან შენზე უკეთ იცის,  
მარილივით ცოტა ჰყოფნის  
კარგ გემოს და ბეღნიერებას.

\*

ზუსტად გახსოვს და ეჭვიც კი არ გეპარება,  
რომ ამ სახელის ხსოვნით უნდა,  
რომ ამ სახელის სახით უნდა,  
რომ ამ სახელის სხივით უნდა  
ვიპოვოთ მაინც წყვდიადებში და ქაოსებში  
ჩევნი ნამდგილი, ერთადერთი,  
ძელი სახელი — ჩვენი საარსო,  
მოფერებით ბალლობიდანვე სამშობლოს რომ ეძახის  
ყველა.  
ეს სახელი არსოდეს დაგვეკარგება —  
მის დარქმევას ხომ ვერც ველირსებით,  
ვერც ვერავონ გაგვიძებავს,  
ვერც კი გვაკადრებს,  
რადგან ჩვენ ხომ უფრო დიდი ვართ ლვთის თვალში,  
ჩვენ ვაკონინებთ სამშობლოებს ჩვენი სახელით,  
ლვთის სახელით!  
უსახელოთა სულთათანას  
ვგალობთ ხოლმე ყველა ომში...  
მშვიდობისას კი,  
ყველას ერთი სახელი გვაქვს — ადამიანი  
და სამშობლოც უსახელო გვირჩევინი და  
უხმაურო.

\*

სახელი სახელიცაა  
სახელთიცაა,  
გასაგიშებელი, გადასარევი...  
დაგარქმევენ და მერე თუნდაც კედელს ახალე თავი,  
თუნდაც დუში და დორბლი იდინე,  
შემოიხიე სამოსი და დედიშობილა ეჩვენე შენ ხალხს,  
აღარავი დაიჯერებს,  
რომ ამ სახელის ბრალი არის შენი სიგიშე,  
თორემ ისე, დაბადებამდე და სახელმდე  
ხელი არ იყავ!

\*

სახელი — ხელსაც  
ხომ გულისხმობს  
ანუ დვთის ნებას შენზედ გადმოსულს?!  
რა სახელები გამქრალან და აღვილან  
და რა პატარა სახელები გადარჩენილან.  
დვთის ნება შენზედ მოვლენილი  
შენს სახელში უნდა ეძიო!

\*

სახელი ზოგჯერ ხებივით  
ამონის და დიდ ტყეებსა ქმნის.  
როგორც ერთობას,  
უსახელოთა კორპორაციებს,  
რომელიც ყველა სახელის ზრუნვით დალლილი,  
ჰაერზეც ზუნავს — უანგბადს აწვდის,  
ნყალს უნარჩუნებს მინის ნიალს,  
კენკრას გვაძლევს.  
ლურჯ ფრინველებს, ფასკუნჯებს და არწივებს  
მალულებებს ინახავს გულში,  
როცა სახელიანს მოესურვება  
თავისი სახელის პირამიდები დაიდგას გულზე  
და გმიონედოს ლეტეს გალმიდან საკუთარ სახელს,  
ფრთოსნებმა ფრთებით უნიავონ ლაჟვარდების  
სიკამაზე და მათ მზერას  
არ მოებინდოს სხვა უფრო დიდი  
სახელის ჩრდილი.

\*

სახელი — ახელა  
ზოგჯერ თვალისაც.  
დაგარქმევენ და მერედა ხვდები,  
რისთვის მოსულარ უსახელო სამყაროში:  
ერთი სახელის შემშველებლად,  
რომელიც შენამდე უთვალავ ადამიანს რქმევია,  
როგორც ქარი გაშლილ მინდვრებში,  
მაგრა ს წორედ შენი ტვინი დასჭირდა ახლა  
რომ გამაგრებინა საძირკვლის ძალა,  
შენ სამარით,  
რომ არ ჩასვლოდა წვიმასავით უსახელობა.

\*

მიცვალებულთა სახელებსაც გარქმევენ,  
ორივეგან შევდლოთ ცხოვრება,  
ორივეგან გვქონდეს სახელი!  
ერთმანეთი გამოვისხათ გაზაფხულივით.  
სულის სახელი მაინც ვაცოცხლოთ, თუ ჩვენი ვერა!

\*

ნეტარ არიან უსახელოდ დაბადებულინი,  
ნეტარ არიან უსახელოდ გარდაცვლილები,  
ვინც არ იცის რა ჰერია, და მაინც სახელობა!  
ნეტარ არიან დვთის სახელით უსახელონი.  
ხოლო მათ, ვისაც სახელები დაერქმევათ დაბადებამდე  
ვისაც სიკვდილი დაარქმევს სახელს,  
არარსებობის მარადისობა ეყოლება მხოლოდ  
ნათლიად,  
ყველანი მოვლენ,  
მოიკითხავნე საკუთარ სახელს.

\*

და ვაი იმას,  
ვისაც ნაქურდალ სახელს უპოვნიან,  
ვისაც სხვისი სახელი ექნება,  
საგვა სხვისი სხვონთა და სხვისი სხივებით  
და ენდომება ის სიხელე ითამაშოს, რომლის იქითაც  
უსახელოთა ველი იწყება —  
ფასკუნჯებით და არწივებით სავსე ტყეები  
და ვინც ველად სახელისთვის დაარება,  
უსახელოთა მზემ ააშროს იმის სახელი!

\*

სახელებით იქმნა სამყარო  
სახელებით გადაბმულან ერთმანეთზე  
ჟამები და სკნელები და მთაგრეხილები  
უსახელო არც ღმერთი დარჩა,  
არც სატანა...  
სახელები მართავს სამყაროს,  
არა — სახელის დამრქმევები!

\*

ჩვენ სად ჩამოგსხდეთ, სადლა ვიყოთ,  
რომელ ქვაზე ამოვეკითხოს თავით  
როგორ ვიცნოთ ან სახელი, ან მესახელე?

## გოჩა ხარანაული

\* \* \*

ერთხელ,  
ჩემი შორეული სიყმანვილის ბალნარებში  
გზად მიმავალს შემომეყარე.  
დაახლოებით ეს იმას გაეს –  
ტყის სიმშეიდეში ახალბედა მონადირეს  
შეეფეოს უცხო ნადირი,  
მას კი თოვი არც გაახსენდეს.

ერთხელ,  
ჩემს შორეულ სიყმანვილეში გზად მიმავალს  
უცაბედად შემომეყარე.  
...და სწავლაზე ავიღე ხელი.  
სამაგიეროდ იგი ვისწავლე,  
რასაც არსად არ ასწავლიან!

შემომეყარე!  
და სამყარო მზით მოიქარგა,  
მე კი შიშმა დამშალა და  
ვარსკვლავებად გადამაქცია  
შენ თვალების ულრუბლო ცაზე.  
ჩემი გულის სამრეკლოში  
ათასმა ზარმა ერთად დარეკა,  
ლამის ძლებიდან ხორცი სულ მთლად  
ჩამომეტალა.  
მე ვაუგუნებდი!

ეს იყო ერთხელ,  
ჩერულებრივ წელთ აღრიცხვამდე.  
ჩემს შორეულ დაბადებამდე...  
განა სამყაროს რა დააკლდება  
ერთხელ კიდევ შემომეყარო,  
ერთხელ კიდევ  
ავილო ხელი!!!

\* \* \*

მე გამომგზავნეს  
გამოცდების ჩასაბარებლად...

ვერც წარმოვიდგენ  
რა უსაზმონ გზებით ვიარე.  
მაამარ ჭავუკი კულულები წყლით დამისველა  
და შეუმჩნევად შუბლზე მარცა.  
მე კი სწორებან გადავყევი იონბაზობას,  
მაამარები კი საყვარელ შვილს თვალს არ მაცილებს.  
ბევრჯერ ვატკინი გული ჩემი უწესურობით,  
ბოროტ გამომცდელს მიაქვს ჩემზე საყვედურები,  
ვერ გავახარე კეთილი მამა,  
გარენარივით ვისარგებლე  
მისი უსაზღვრო გულმოწყალობით.  
კეთილი მა მა,  
ვერაგი შვილის სიყვარულს ვერ გადაეჩვია.  
კეთილი მა მა!  
მისთვის ხომ ერთი ცრემლის წვეთი საკმარისია,  
და ერთი სიტყვა ერთი ცრემლით განედლებული!

ქვაზე დაცემულს ხშირად მიგრძნია  
ქვასა და ჩემს საფეხულეს შორის  
ღვთაებრივი ხელის მტევანი!

როცა ეკალზე ვეცემი მკერდით,  
ქვეყნიერებას ვამჟანათებ ბიზურ გზებით.  
თურმე კა ბოროტ გამომცდელს ჩემსას  
ეკლის მაგივრად დაურქვია ბასრი მარგილი.  
მაამარები კი მარგილს მიცვლის

ჩხველები ეკლით!

კეთილი მა მა!

უმადური შვილის პატრონი!

მან გამომგზავნა გამოცდების ჩასაბარებლად...  
მე კი, ასეთი ოროსანი როგორ დაგბრუნდე!!!

\* \* \*

როცა ზესკნელი თვალებს დახუჭავს  
და ზურგს შემაქცევს მზე დახუნძლული,  
როდესაც ღამე დატბორავს არეს სიჩუმის ტალღით,  
გამრიყავს ნაპირს ჯადოსნური მოგონების.

რატომ ვეძახი ჯადოსნურს, ზეტყვი:

იქ მარტო ჩევნ ვართ და დრო და სივრცე  
ვით თანატოლებს გვემეგობრება,  
იქ ყველაფერი კარგად მთავრდება, როგორც ზღაპრებში,  
იქ სჭარბობს ფერი მარადისობის,  
ასეთი ფერი შენს თვალებს დაპკრავს,  
ჩევნ არ ვიღლებით იმგვარი ფიქრით,  
როგორი ფიქრიც ფრთხებს ემტერება ზეცად დამზადილს.  
ჩიტუნებს დააქვთ ოქროს ნისკარტით  
დაფნა და ტყებლის თეთრი ყვავილი,  
ცელქი სიზმრები თვალის ყოველ მოხუჭვაზე  
გვისაფრდებიან

იმის სათქმელად – რით გაგაოცოთ?!

იქ ვარსკლავები ისე ახლოა,  
რომ მათ მშიარულ სიცილს გაიგებ,  
იქ თოვლი იცის, გაგიკვირდება,  
შენსავით თეთრი ფანტელით ბარდის,  
ბარდის ბელურის ტოლი ფანტელით,

და გინდა უცებ თოვლმა დაგაღალრჩოს.

დავდეგართ ერთად,  
მინას თუმცა ფეხს არ ვაკარებთ,  
არც ერთს არ გვქვია ჩვენი სახელი,  
არც საჭიროა.  
არც ბავშვები ვართ, არც დიდობას  
იტყვიან ჩვენსას,  
დავდივართ ასე უასაკონი, დავდივართ ერთად,  
მაგრამ ერთად რატომ დავდივართ ვერ გაგვიგია,  
არც გვაქვს სურვილი.  
ან თუმცა არის საჭირო კი იმის გაგება,  
მზე მოვარეს რატომ ასდევნებია,  
ან უცაბედად რატომ თენდება,  
რაც მთავარია, ხომ თენდება  
შენი თვალების გახელასავით!!!

\* \* \*

მე ვიცონ სიკვდილს. ის კეთილია.  
მე ვიცონ სიკვდილს. ის ლამაზია.  
მას უბრალოდ ცილი დასწამებს,  
რადგან ვერავინ ვერ გაიგო მისი მიზანი.  
რამეთიც დუშას და არასოდეს თავს არ იმართლებს,  
მისი ენა კი ვერ ისწავლა ადამის მოდგმა!

გაუგებელი ბრძენთა ბრძენი გახლავთ სიკვდილი,  
შემოვგასა მალემსრბოლი  
უმთა დინების,  
რათა წვეთ-წვეთად გამოგვნოვოს  
ტკბილი სიცოცხლე,  
შეუმჩნეველად შეგვაგუს მოახლოებას...

ბოლოს კი ყანნით მოგვადგება ქვეყნის თამადა.  
გზას დაგვილოცავას ჩვენი სიცოცხლით,  
ჩვენ კი ჩვენს ნამდვილ „შინ“ დაგბრუნდებით!

ძნელად გვეთმობა ჩვენი სხეული,  
ხოლო როგორც კი გავალთ ჩვენიდან,  
გულწრფელად გვიკირს –  
ამ სანგარში როგორ ვიყავით!

ყელს მოვილერებთ  
არწმენილი გალობისათვის...  
რადგან სიკვდილი უპირველესი დასტურია  
უ ზ ნ ა ე ს ი ს !!!

\* \* \*

ცრემლები რატომ გემალმალება  
თუ კი ვერასდროს ვეღარ აცდები  
მას, რაც სულს ადგას  
ეკლის გვირგვინად?

დღეს მოილხინე ხვალის ჯინაზე,  
იცრუე შენი თავის ნინაშე

კეთილშობილი შენი ტყუილით,  
მავანს და მავანს აუკარ თვალი  
და სხვებთან ერთად იცინე შენაც,  
შენი ტკივილის წაშალე კვალი.

დაჩირქებული გულის სინაზით  
იცრუე შენი თავის ნინაშე!

მაგრამ იცოდე, ყველაფრის შემდეგ  
შენს განუზომელ სიმარტოვეში

მოგელის ჯაჭვი  
და ყორანის ბასრი ნისკარტი.

დაჩირქებული გულის სინაზით,  
იცრუე შენი თავის ნინაშე!

ოლონდ გახსოვდეს –  
რომ პირველი დანაშაული

სულის ხორცი გამომწყვდება.  
სად თქმულა, ხალხო, ტყვეობა სულის!

ვის მოესურვა თვალი ადევნის  
თავდასალნები სულის ფორიას,

ვინ მოისურვა იმით გაერთოს  
თუ როგორ წვალობს, აქეთ-იქეთ  
როგორ აწყდება.

თუ ბილოს მაინც უნდა გაგლიჯოს.  
ვის ეღმება სულის წრიალზე,  
ან ეს თამში ვინ მოიგონა?

— მას ეღმება, ვინაც იცის ტყვექმნილი სული  
ვერ ჩადენს ლომაზ სასწაულს.

ყოვლად ძლიერო!  
ასე რატომ გვამასხარავებ!!!

\* \* \*

სადაც დამბადე, მე ისევ ის ვარ.

თუ არ ჩავთვლით ერთ დანაშაულს —

როდესაც მჭრიან, ნაფოტებს ვფანტაცა —

ჩამომიარა ცხოვრების და დროის მდინარემ.

მაგრამ ისა ვარ, რადაც დამბადე!

ტოტებს მასხეპდნენ, ისევ ვიყრიდი,

ქვაზე გადამრგეს — ქვა გავანედლ!

აროდეს მაკლდა ჩემი წილი შავი ღრუბელი.

მე კი მზე ვიყავ,  
რადგან შენიან მქონდა კავშირი!

და არ ვიცი,  
რა ჰქვია იმას, მე რომ მიყვარხარ.  
და არ ვიცი, რა ჰქვია ცნობას  
მე რომ შენ გიცნობ.

მე ის არა ვარ, რომ გამოვდგე ბარის ტარადაც,  
ცულის ტარადაც...  
ამგვარი მიხვრა-გარდასახვის  
შენ გაქვს უფლება!

მე კი ისა ვარ,  
რადაც დამბადე!!!

\* \* \*

მე ვალებ სარკმელა!  
შემოდი!  
არ ვიცი ვინ ხარ,  
(რა ხარ-მეთქი, ვერ შემოგვადრებ,  
მე ყველაფერს სიცოცხლედ ვხედავ!)  
შემოდი!  
გამაგბინე დუმილის ხმოვანება.  
მე ვიცი, რომ გიუ გონივარ,  
მერე რა მოხდა!  
განა შენ კი ნორმალური ხარ,  
სარკმლიდან რომ გადმომიხვედი  
შენისთანასთან, შენს ნანილთან  
დიდი დუმილით.

მე არ მჯერა ჩემი თავის,  
იქნებ შენიც არა მჯეროდეს.  
მაგრამ სარკმელს სად დავემალო,  
ან შენ რას იზამ, მარტოსულო  
და უბედურო,  
შენიც სიდიდით,  
მე კი ჩემი სიპატარავით!

მე ვალებ სარკმელა!  
მასპინძელო სტუმრად მოსულო!  
მე ვალებ სარკმელა!!!

\* \* \*

რამდენჯერაც გავიქეცი,  
იმდენჯერ დამიჭირეს და დამაბრუნება!  
მე კი ჩემს თავს მიღდოდა გადავყრობი სადმე,  
რა უნდა მექნა?!  
გაქცევას ვერ გადავდებდი!  
მერე, ვიზიქერ



კოს დაგვავალეს. დანარჩენს ისევ ყაურ-მად ჩაგვააფავდით. აგუზგუზებულ ბუხარ-თან ისეთი ხალისით ვტრიიალებდით, თითქოს არც არაფერი ყოფილიყოს. აღარ მახსოვდა არც გაყინვა, არც დაღლა და არც სველი ფეხები და შარვალი. ბოლო შამფური რომ შეინწყა, ეგ თქვენ შეჭამეთ, გვითხრეს და სუფრასათანაც მიგვი-ვატიუქეს. სუფრის ბოლოში ჩამოვსხედით. ისინი პანტის არყიო ქეიფობდნენ. ჩვენთვის კი ჯერ სასმელი არ შეიძლებოდა. ვისხედით და ყურს ვუგდებდით მათ ხალი-სიან საუბარსა და სადლებრძელოებს. ზა-იდოდა-ნამოვიდოდა ლაპარაკი და ისევ ნადიორბისას დაინწყებდნენ. ბიძა ქორიასა თავისი წილის ანგარიშზე, რაღაც-რაღა-ცა წვრილმნების დაბარებაც დაუწყეს.

— თქვენა, თქვენ რაღას დამაბარებთ, ბალები?! თქვენი ნილის ანგარიშში? გადმოგვძახა ბიძა ქორიამ და მე მომაჩინდა. არ ვიცოდი, გვეხუმრებოდა თუ სერიოზულად გვეკითხებოდა. კითხვა რო კიდევ გამიმეორა, გავბედე — „კალოშები“ თუ შეგხვდება, მიყიდე, სხვა არაფერი არ მინდა-მეთქი. ატენეს ერთი სიცილ-ხარხ-არი — „კალოშები“ რაღამ მოგაგონა, ჩვენ ვიფიქრეთ ტყვია-ნამალს დაპარებდი, ან დანას... ა, დედას მტრისას მონადირევ, სიცივემ ხო არ შეგაძინაო?

მეორე დილით არაგვის გაღმამდე მანქანის გზამდე გავაცილეთ მე და ნიკომ ბიძა ქორია ცხენებით. დამშვიდობებისას ბიძა ქორიამ დამაიმედა, არ დამვიწყებია, „კალოშებს“ აუცილებლად მოგიტანო. სითბო ჩამიდგა გულში, ნინასნარ ვტკბებოდი იმ სიამოვნებით, რასაც თოვლ-ჭყაპში მშრალი ფეხებით სიარული მომანიჭებდა.

მესამე დღის სალამოს მეზობელმა გადა-  
მომახახა — ქორის მოსულა ქალაქიდან და  
დამაბარეს, ეგეპა გამოიარონ. მამაჩემი  
არ იყო შინ და მე წავედი. ბიძა მარაისძეც  
მისულიყო.

— ემაკის მუშა კი გაგვხადეს  
ქალაქელებმა! — შენუხებული სახით დაი-  
წყო ბიძა ქორიამ, — გუშინ დილით ადრე  
შავიტანე ბაზარში, გამტყვავებლებსაც  
მოველაპარაკე, რო მილიციელებ მოვიდ-  
ნენ — ღორის მოკვლაც აკრძალულია და  
ეგ ძალიან დიდი დანაშაული ჩაგიდენია-  
თო.

— რაის დანაშაული, ნადირის მოკვლა  
როდის აქეთ გახდა-მეტქი დანაშაულიო?

— როგორ არაო, ერთი წელიც იქნება,  
რაც კანონი გამოვიდაო.

— ჩვენთვის არავის რა გაუკებიხებია.  
— არ გაგიგიათ და ეხლა გაგაგე-  
ბინაბოლ! აბა, აქ წამოთიო!

ნამიყვანეს, შამიყვანეს სადღაც, ეხლა  
ოქმი უნდა შაგიდგინოთ, უნდა დაგაჯა-

— ქალალდ მაჩვენეთ, სადა გინერავთ  
რიმოთო, პასუხი უნდა მოგთხოვოთ!

ეგ რო ლორისა და დათვის მოკვდა არ შაი-  
ძლება! — მე ვეუბნებოდი, ამაზე სუ შაიძ-  
ლება!

— როგორაო! მაშ ჩვენა ვტყუითო, ციხ-  
ეში შეა აათობოთ მაანაბელი ხართ ნათორს!

ଜେଣି ଦାଗାର୍ଦ୍ଦୀୟତା, ଦାବ୍ୟଶ୍ଵରୀଲ୍ଲି ଦାରନ, ଦାଫ୍ନିକୁ  
ଅନାଧଗୁର୍ବେଳା! ଶେବ କି ଆରା, ଯେ ଶେବି ଅମିତାବାଙ୍ଗେ-  
ଦିକ୍ଷା ଏହି ଖଣ୍ଡା ହାମରୁକ୍ରମତ, ଖଣ୍ଡା ହାତିଗରତ

დიო. ბერები მოვალეობა და სამოვალებრივი განვითარების მიზანით მიმდინარეობს.

გულომეკლულია ძებოვიარე. მაშინ ვერაფერი, მერე კი გავიგეთ, შვ-ლისა და ირმის მოკვლა აეკრძალათ, ღორზე და დათვზე კი... 60-იან წლებში, მეზობელ სოფელში მონადირემ ალექსი მაჩურიშვილმა მოკლა ის უზარმაზარი ტახი, მთელი ფშავი რომ დასდევდა და ვერა კლავდა. ჩაიტანა და ბაზარში გაყიდა, ხოლო დათვის მოკვლაზე ჯილდოც კი იყო დაწესებული.

არა, არა! ბავშვობის დროინდელი  
მონაცირული სიამენიც და გულდასან-  
გვეტიც ერთნაირადვე ცოცხლდებიან. ხო,  
ძალიან მწარე იყო მაშინ, ეხლა ესაც ტები-  
ლად მაგონდება, რადგან ასეთმა სიმჩა-  
რეებმა უფრო მასნავლეს ცხოვრება, გამ-  
აცნეს ქვეყანა, მანრთეს და გამომჯეებეს.

## მარი თინაშვილი

# ପାତିଳୁଲି ଜାଗନ୍ମହାର ରାଜୀବ ମରମଣି ଜାଗନ୍ମହାର



როგორც მივხვდი ვასიკო ერქვა, იქით გაიქცა, საიდანაც უხმობდნენ. სალამოს მამაჩემს მოვუყევი ეს ამბავი და მითხრა: „ერიდე მაგ კაცს, წესრიგს იცავ მეტროშიონ“. ესე იგი, ჩემი პირადი მტერია! — გამიეღვა კითხვამ.

მეორე დღეს აღარ მინახავს და მესამე დღეს ისევ გამოჩნდა. დადიოდა თავისითვი ბაქანზე, როგორც მამაჩემი იტყოდა, ფეხს საცმელებს ცვეთდა. გადავწყვიტე, ამ კაცზე დაკარივება დამეწყო. ახლოს ჩავურბინდ

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მე და  
ვასიკო დავმეგობრდით. მამაჩემი სითხ-  
ითებდა ხოლმე, რაღა თქვენ და რაღა რწყ-  
ილი და ჭანჭველაო. ამას რომ იტყოდა,  
ჩემს ზუგზე მცხოვრები რწყილები სი-  
ცილით იგუშებოდნენ.

გადიოდა დღეები, საჭრელი არ ძაკლ-  
და და სასმელი. კალე ჩვენს უბანში გად-  
ომორდა საცხოვრებლად, ჩვენ სახლიდან  
ცოტა მოშორებით კიბებებთან ცხოვრობ-  
და თავის ცოლთან ერთად ვაიკოც აგრ-  
ძელებდა თავისითვის ბაქანზე სიარულს და  
ნესრიგის დაცვას.











# პურლიცისტიკა. პრიტიკა. ესეისტიკა

„ლიტერატურულმა გაზეთმა“ 2011 წლის ნოემბერში მრგვალ მაგიდასთან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერაცხული განხილვისას და პუბლიცისტ მამუკა ხერხეულიძეს მოუყარა თავი. თემა ქართული ლიტერატურა, მხერალ ზაალ სამადაშვილსა და პუბლიცისტ მამუკა ხერხეულიძეს მოუყარა თავი. თემა ქართული ლიტერატურის მინისტრის მიერაცხული გაზეთის „თაოსნობით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დასთან გაჩნდა იდეა, „ლიტერატურული გაზეთის“ თაოსნობით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დასახლის გამართულიყო კონკურსი, რომელიც მიზნად დაისახავდა საუკეთესო კრიტიკული, პუბლიცისტური და ესეისტური თანადგომით გამართულიყო კონკურსი, რომელიც მიზნად დაისახავდა საუკეთესო კრიტიკული, პუბლიცისტური თანადგომით გამართულიყო კონკურსი 2012 წლის 2 მარტს გამოცხადდა. ავტორებს ერთობის გამოუქვეყნებელი პუბლიცისტური კრიტიკული ტიკული ან ესეისტური ნაწარმოები რედაქტორის ელექტრონულ მისამართზე უზრად გაეციცნათ. ბოლო ვადაც 2012 წლის 5 აპრილი დასახელდა. 5 კაციანმა უიურიმ, რომლის შემადგენლობაც ბოლო წუთამდე გასაიდუმლოებული იყო, ლიტერატურულ წერილებზე მუშაობა აპრილშივე დაიწყო.

## სამუშაო გაგიდასთან

სამუშაო მაგიდას 5 ადამიანი მიუჯდა — მნერალი და მკვლევარი როსტომ ჩხეიძე, კრიტიკოსი თამაზ ვასაძე, მნერალი ზურაბ სამადაშვილი, ლიტერატორი უჩა შერაზადიშვილი და „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორი ირაკლი ჯაფახაძე. მაგიდაზე 40-მდე ლიტერატურული ნარკვევი იდეა. მონაწილით ასაკი შეუზღუდავი იყო, მათ შორის ალმოჩნდა როგორც 17 წლის, ისე 80 წლის კონკურსანტიც. უიურის ნევრებმა ბევრი იყამათეს, ილაპარაკეს, მიღებული შთაბეჭდილებები ერთმანეთს გაუზიარეს და არჩევანიც გააკეთეს. ხმათა უმრავლესობით 3 გამარჯვებული გამოვლინდა.

## 2012 წლის 4 ივნისი

### საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. 13:00 საათი

კონკურსის მონაწილეებმა, ლიტერატორებმა, პუბლიცისტებმა, მნერალებმა და ქართული ლიტერატურის გულშემატკივრებმა საპრეზრეტაციო დარბაზში მოყვარეს თავი. ყველა ელოდებოდა უიურის წევრთა ვინაობის გაგებასა და გამარჯვებულების დასახელებას. მაგიდაზე გამარჯვებულთა დიპლომები ელაგა, მათ სახელ-გვარებს კი თეთრი კონკურსი მალავდა. შეკრებილი საზოგადოება კონკურსის კულმინაციური მომენტისათვის ემზადებოდა.

მას შემდეგ, რაც ხმამაღლა გამოცხადდა, თუ ვინ აფასებდა საკონკურსო ნაწარმოებებს, მიკროფონთან თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, მნერალი ზაალ სამადაშვილი მივიდა. ის ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც განსაკუთრებულად შეტკივა გული ქართულ ლიტერატურასა და მის მომავლ დღეზე. კრიტიკის, პუბლიცისტიკისა და ესეისტიკისადმი მისი დამროკიდებულებაც გამორჩეულია და ეს არაერთგზის აღნუნიშნავს. იმ დღეს კი, გამარჯვებულების გამოვლენამდე სულ რაღაც 2 წუთით ადრე, ბატონმა ზაალმა კონკურსის მნიშვნელობაზე ილაპარაკა. მისი თქმით, სხვა საქმეა, როცა განიხილავ არა უკეე დასტამბულ წიგნებს, არამედ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ და ახალთახალ წერილებს, რომლებიც სპეციალურად ამ კონკურსისთვის შეიქმნა. ერთის მხრივ, ეს დიდი სტიმულია მნერლების, ესეისტების, ლიტერატორებისა და მკვლევარებისთვის, მეორეს მხრივ კი ამგვარი კონკურსი დროული და საშუალია მთელი ქართული ლიტერატურისთვის.

და დადგა დრო, გამარჯვებულებაც დასახელებულიყვნენ. შესამე პრემიის გამოსაცხადებლად და 600 ლარის გადასაცემა მიკროფონთან კრიტიკოსის უჩა შერაზადიშვილი მივიდა. რამდენიმენამი პაუზის შემდეგ საზოგადოებამ მესამე ადგილის მფლობელის ვინაობა გაიგო. პრემია დათო ქარდაგმა მომოვა ლიტერატურული ნარკვევისთვის „მტკვარი და მისი არქიპელაგი“. მესამე პრემიას მეორე მოჰყვა 800 ლარი და მეორე ადგილი მიას ჯალაშვილს ერგო კრიტიკული წერილისთვის „ზნეობს გარდამოხსნა“. დიპლომი და ფულადი ჯლლდო ლიტერატორს მნერალმა და მკვლევორმა როსტომ ჩხეიძემ გადასცა. საზოგადოება პირველი პრემიის მფლობელის დასახელების მოლოდინში გაირინდა. მიკროფონს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა მიუახლოვდა, რომელმაც ყველას მიულოცა ამ კონკურსი მონაწილეობა და კრიტიკის, პუბლიცისტიკისა და ესეისტიკის არსებობის მნიშვნელობაზე ილაპარაკა. თავის დროზე მინისტრი ამბობდა, საქართველო პატარა ქვეყანა, კრიტიკული ანალიზი რამდენიმე კრიტიკოსა, მნერალიც რომ დაინტერესდეს, შემდეგ 25 წლის მანძილზე ჩვენი ლიტერატურისთვის ეს საქმარისა იქნება. ნიკოლოზ რურუას ამ სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, მისთვის ეს დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო.

მინისტრი გამარჯვებულის გამოსაცხადებლად მოემზადა. პირველი პრემია და 1000 ლარი „ლიტერატურული გაზეთის“ მეითხველისთვის კარგად ნაცნობ კრიტიკოსს, ივანე ამირხანაშვილს გადაეცა პუბლიცისტური წერილისთვის „ვესტერნიზაციის ცხადი სიზმრები“. „ლიტერატურული გაზეთისა“ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის თაოსნობით გამართული კონკურსი დასრულდა. მნერლები, პუბლიცისტები, ლიტერატურის მცოდნეები თუ მოყვარულები გამარჯვებულებს წარმატებას ულოცავდნენ. ქართულ კრიტიკას სამი ახალი ლიტერატურული ნარკვევი შეემატა.

## მოავალი

2 წლის განმავლობაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის თანადგომით „ლიტერატურული გაზეთი“ ახალბედა მნერლებისთვის „ლიტერატურული გაზეთის“ მოთხოვნის კონკურსს“ მართავდა. იმ ხნის განმავლობაში საზოგადოებამ ბევრი ახალი ავტორის სახელი და გვარი პირველად სწორედ ამ კონკურსის წყალიბის გადასცა და მიმდინარე კრიტიკის, პუბლიცისტიკისა და ესეისტიკის არსებობის მნიშვნელობაზე ილაპარაკა. თავის დროზე მინისტრი ამბობდა, საქართველო პატარა ქვეყანა, კრიტიკული ანალიზი რამდენიმე კრიტიკოსა, მნერალიც რომ დაინტერესდეს, შემდეგ 25 წლის მანძილზე ჩვენი ლიტერატურისთვის ეს საქმარისა იქნება. ნიკოლოზ რურუას ამ სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, მისთვის ეს დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო.

მომავალ წელს ისევ იქნება კონკურსი, თუმცა თემატიკაზე ჯერ ხმამაღლა არსებონ ლაპარაკობს, რადგან თოგანიზატორები პრიორიტეტად იმას მიიჩნევენ, რასაც თანამედროვე ქართული ლიტერატურა უკარნახებს.

